პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 101 (9192)
27 მაისი
სამშაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

# საზოგადოებრიობის სამსჯავროზე

ამ ბოლო ხანს საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტმა და „ლელოს" რედაქციამ განსაკუთრებით გააქტიურეს ბრძოლა რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე ყოველგვარი მანკიერების აღსაკვეთად, ჩვენს ფეხბურთში სრული წესრიგის დასამყარებლად. სარედაქციო ფოსტას თითქმის ყოველდღე მოაქვს წერილები, სადაც ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრები, ჩვენი მშრომელები იწონებენ ამგვარ პოზიციას და პასუხისმგებლობის უფრო გაძლიერებას მოითხოვენ. გვთავაზობენ წინადადებებსაც. მაგრამ ამ ადამიანებს სტადიონებზე მხოლოდ დისციპლინის საკითხი როდი აწუხებთ. „კარგად ჩაიხედეთ რაიონის გუნდებში, ვინ თამაშობს იქ, ვინ არიან „ადგილობრივი ვარსკვლავები"",.. „რაიონის გუნდში ხშირად 10-15 წელი თამაშობს ფეხბურთელი, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი მიიღოს ფეხბურთისგან, გაცემით კი არაფერი გასცეს და კიდეც რომ მოინდომოს, ვერ გასცემს". „თუ ქართული ფეხბურთისთვის კარგი გინდათ, რაიონების გუნდებში თამაშის უფლება მხოლოდ 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს უნდა ჰქონდეს, თუ იგი ნიჭიერია, ამ ასაკამდეც გამოავლენს შესაძლებლობებს"... „რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკის ჩემპიონატში, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ პერსპექტიული ფეხბურთელი არ დაიჩაგროს და დაიკარგოს, ეს იქნება ჩვენი ფეხბურთის ყველაზე დიდი რეზერვი"... ანდა ასეთი სტრიქონები ...ლეთ: „გაზეთში წამოიწყეთ პირდაპირი და პრინციპული საუბარი საერთოდ ქართული ფეხბურთის პრობლემებზე, შეისწავლეთ ყველა რგოლის საქმიანობა. ...ი, იქ რომ ყველაფერი მოწესრიგდება, თავისთავად დამყარდება წესრიგი და დისციპლინა ჩვენს სტადიონებზე და საერთოდ ქართულ ფეხბურთში". სხვა წერილების ავტორები გვთხოვენ შევიმუშაოთ საქართველოს პირველობის მატჩებზე საზოგადოებრივი კონტროლის რაღაც ფორმა. გვთავაზობენ, მაგალითად, ადგილებზე შეიქმნას სპეციალური კომისია, რომლებშიც ...ვლენ ავტორიტეტული, ფეხბურთის მცოდნე პირები, ხოლო მატჩების შეფასებისას მათ აზრსაც გაეწიოს ...გარიში. „შემოიღეთ რუბრიკა „საზოგადოებრიობის სამსჯავროზე" და გამოაქვეყნეთ საზოგადოებრიობის წარმომადგენლების აზრი ამა თუ იმ გუნდზე ...ა ფეხბურთელზე. დე, ფეხბურთელებმა და მათმა ...ხვეურებმა იცოდნენ, რომ მათ დამოკიდებულებას ...ამაშისადმი, სტადიონზე და ცხოვრებაში მათ ქცევას ...ზოგადოება ადევნებს თვალს"...

სარედაქციო ფოსტაში ყურადღება იმაზედაც არის ...ახვილებული, რომ ადგილებზე მხოლოდ ვიწრო ...რეა დაინტერესებული" ამა თუ იმ ფეხბურთელთა ...უნდის წარმატებით, მათ მხოლოდ დღევანდელი მიღ...ვა აინტერესებთ და „არ ღალატობენ" პრინციპს — ...ზანი ამართლებს საშუალებას! ამგვარი დამოკიდებულება, რასაკვირველია, სარგებლობას ვერ მოუტანს ...ვერც რეგიონს და ვერც საერთოდ ქართულ ფეხბურთს. ...მოთქმულის დასადასტურებლად ერთ ნიშანდობლივ ...მაგალითად ისიც გამოდგება, თუ რა თავგამოდებით ...დილობენ ცალკეული რაიონები საქართველოს ჩემპიონატის გვერდის ავლით მიაღწიონ დათმობა-შეღავათს. ყოვლად მოუთმენელია, როცა რაიონის გუნდების მესვეურები სხვას შეჰყურებენ ხელში და მზამზარეული სპორტსმენების გადაბირებაზე თუ მიწვევაზე უჭირავთ თვალი. ისიც დიდი დანაშაულია, როცა ასეთ მწვრთნელებს ხელს ვუმართავთ. პირდაპირ პარადოქსია, თბილისის „დინამოს" თითქმის არაფერს ვაძლევთ და პირიქით, მისგან ვიღებთ შევსებას. თუ ამ პროცესის გამართლება შეიძლება, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა „დინება" ორმხრივია, თანაც იგი „დინამოში" მოძალებული უნდა იყოს.

საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტმა წელს არც ერთი გამონაკლისი არ დაუშვა — ჩვენი ფეხბურთის გაჯანსაღების გზაზე გადაიდგა მეტად პრინციპული ნაბიჯი.

ქართული ფეხბურთის ინტერესები მარტო საქართველოს ჩემპიონატთან როდია დაკავშირებული. საკითხავია: რას გვაძლევენ სპეციალიზებული სპორტული სკოლები, უამრავი სექციები და ჯგუფები, ეგრეთ წოდებული სპეცკლასები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან შერწყმული საფეხბურთო სკოლა? თუ გვინდა ამ კითხვაზე ობიექტური პასუხი მივიღოთ, კარგად უნდა გავარკვიოთ, როგორ არის მუშაობა ორგანიზებული ადგილებზე, როგორ ხდება შერჩევა-დაკომპლექტება, ვინ უძღვება ამ საქმეს, რა პირობებში ვარჯიშობენ მოზარდები, არიან თუ არა ისინი საერთო ყურადღებით გარემოცულნი და ა. შ. როგორც დიდი მდინარისაკენ მიედინებიან ნაკადულები, ისე უნდა მოდიოდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან რესპუბლიკის უმაღლესი ლიგის გუნდებში, პირველ ყოვლისა — თბილისის „დინამოში".

თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა თავის დროზე მომავალ ოსტატთა აღზრდის შესანიშნავი კერა იყო. მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდა და ახლა როცა კვლავ დადგა დღის წესრიგში მისი აღორძინების საკითხი, თავი იჩინა პრობლემებმა, რომელთაგან ჩვენ უმთავრესს, ყველა პრობლემის სათავეს — გულგრილობას გამოვყოფდით. ამ საკითხზე ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ცალკე გვაქვს საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რედაქცია უფრო აქტიურად ჩაებმება ჩვენი ფეხბურთის რეზერვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხებისა და სპორტის ამ სახეობაში დაფარული რეზერვების ძიებაში, წინა პლანზე წამოვწევთ გადაუჭრელ პრობლემებს. რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად კვლავ დარჩება ის, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს ფეხბურთში დისციპლინისა და წესიერების დამკვიდრებას, დაუნდობელი ვიქნებით მათ მიმართ, ვინც პატივს არ სცემს მაყურებლებს, მეტოქეს, ვინც თავშეუკავებელი მოქმედებით არცხვენს სპორტსმენის სახელს. ვიმსჯელებთ მათ შესახებაც, ვინც მინდობილ საქმეს გულგრილად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება, პრობლემების გადაჭრისას ყოყმანსა და ბიუროკრატიზმს იჩენს.

მაშ ასე, ყველა საკითხზე და პრობლემაზე, რაც ქართული ფეხბურთის რეზერვის მომზადების ინტერესებთან, ამ მიმართებით მუშაობის გარდაქმნასთან არის დაკავშირებული, ვიწყებთ საზოგადოებრივ მსჯელობას. ველით თქვენს გამოხმაურებას.

## საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში

...სპორტში რეზერვების მომზადებაზე ზრუნვა ნიშნავს უზრუნველვყოთ ტრადიციების მემკვიდრეობა, შევქმნათ უფროსი თაობის ღირსეულ შემცვლელთა აღ...და-დაოსტატების მწყობრი სისტემა.

...მ საკითხს, რაც ქართული სპო...ის ხვალინდელ დღეზე ფიქრით ...ს ნაკარნახევი, საქართველოს ...ელმწიფო სპორტკომიტეტი ...ლი გულისყურით ეკიდება. მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის შესასრულებლადაც უკვე დაიწყო რეზერვის ნაკრები გუნდის შექმნა სპორტის ცალკეულ სახეობებში. უფროს მწვრთნელებსაც კომიტეტი ამტკიცებს.

ამ დღეებში კომიტეტის ხელმძღვანელობა შეხვდა სპორტული ტანვარჯიშის, კალათბურთის (გოგონები და ჭაბუკები), ფრენბურთის (გოგონები და ჭაბუკები), ხელბურთის (ჭაბუკები) და ძალოსნობის რეზერვის ნაკრებ გუნდებს და მათ მწვრთნელებს. შეხვედრაზე კონკრეტულად და ხაზგასმით ითქვა, რომ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი, სპორტული საზოგადოებები და უწყებები, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ, რათა რეზერვების მომზადება გახდეს უწყვეტი პროცესი, ნიჭიერმა თაობამ აიმაღლოს ოსტატობა და თამამად დაიკავოს უფროსების ადგილი, როცა ამას ჩვენი სპორტის ინტერესები მოითხოვს. მიღებულია გადაწყვეტილება პერსპექტიული სპორტსმენებით დაკომპლექტებული ნაკრები გუნდების ერთიანი მართვის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

...დღეს, 27 მაისს, საღამოს 8 ...ზე, ლენინის სახელობის ...რტულ დარბაზში შედგება ...ანაგური მატჩი კრივში ლი...ისა და საქართველოს ნაკრებ ...დებს შორის. ამ საწვრთნე... შეხვედრისადმი ინტერესს ...ც აძლიერებს, რომ დღეს რი...ე ვიხილავთ იმ სპორტსმე...ს, რომლებიც სსრ კავშირის ...ბთა IX სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის ემზადებიან.



## გვიმრავლით!

გასულ შაბათსა და კვირას გამართულ საკავშირო ტურნირებში თავი გამოიჩინეს საქართველოს სპორტსმენებმა.



ორჯონიკიძეში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი მძიმე წონის მოჭიდავეებში მსოფლიო ჩემპიონმა დავით გობეჯიშვილმა მოიგო (ჩემპიონატის ბოლო დღის შედეგებს ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში გაგაცნობთ).

## საიმედო დასაწყისი



ზოგიერთი საკავშირო ასპარეზობა სიმწვავითა და დაძაბულობით ქვეყნის ჩემპიონატსაც არ ჩამოუვარდება. ჩვეულებრივ ასეთი შეჯიბრებები მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირების წინ ტარდება და ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობას საშუალება ეძლევა უძლიერეს ათლეტებს მოუყაროს თავი. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება — მძლეოსანთა საკავშირო პირველობა — გასულ კვირას დამთავრდა სოჭში. მონაწილეებმა გაზაფხულის პირობაზე მაღალი შედეგი აჩვენეს. სასიხარულოა, რომ გამარჯვებულთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მაია აზარაშვილიც იყო (მწვრთნელი ევგენი გაგუა). თბილისელმა სპრინტერმა 2000-მეტრიან დისტანციაზე ყველა მეტოქე დაამარცხა და 23,13 აჩვენა; ეს შედეგი სეზონის დასაწყისისათვის ურიგო როდია, მით უმეტეს, ასპარეზობა, კერძოდ, 200 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრება არახელსაყრელ ამინდში ტარდებოდა.

შეგახსენებთ, რომ საბჭოთა მძლეოსნებს ელით მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებები: მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძლიერ გუნდთან, „კეთილი ნების თამაშები", ევროპის ჩემპიონატი, IX საკავშირო სპარტაკიადა. იმედია, მაია აზარაშვილი წლეულს კიდევ ბევრი წარმატებით გაგვახარებს.



ტულაში ველოსიპედისტთა საკავშირო თასის გათამაშებაში თავი გამოიჩინა თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა — პირველი ადგილი დაიკავა სპრინტში, მეორე — ჯგუფურ რბოლაში და მესამე — 200 მეტრზე გიტში.

იხ. მე-4 გვ.

არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაჭრა არ შეიძლება, მით უფრო, თუ იგი ბავშვთა კეთილ დღეობასთან და ჩვენი საზოგადოებრიობის საერთო ინტერესებთანაა დაკავშირებული. თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები დიდი ხანია ელოდებიან დანაპირებ სპორტულ კომპლექსს და სასწავლო სპორტული პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ...

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული

## ორიენტირი — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ვინ შეცვლის ლიდერს?

### მხატვრული ტანვარჯიში

„საქართველოში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩამოვდივარ. ვცდილობ წლის ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე ჩამოვიყვანო ჩემი გოგონები, რადგან საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეებისგან, განსაკუთრებით მწვრთნელებისგან ბევრის სწავლა შეიძლება“ — ეს სიტყვები ყირგიზეთის დამსახურებულ მწვრთნელს, ჯგუფურ ვარჯიშში 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის ელენა ბუკრეევას აღმზრდელს ნინა სვინცოვას ეკუთვნის.

მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ სამამულო სპორტის ისტორიაში ჩვენმა ტანმოვარჯიშე გოგონებმა ბევრი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს, განსაკუთრებით იმ წლებში, როცა ირინე გაბაშვილი და ლალი დოლიძე მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ირინა ჟემჩუჟინამ კი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა...

გავიდა დრო. სარბიელზე ერთი თაობა მეორემ შეცვალა. დღეს გუნდში ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები არიან. ცხადია, მათ მაღალი რანგის შეჯიბრებებში გამოსვლის გამოცდილება ნაკლები აქვთ. ამიტომ, გაითვალისწინეს რა საკუთარი შესაძლებლობები, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე რვა საუკეთესო გუნდს შორის დამკვიდრება დაისახეს მიზნად.

ახლა საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები უფროსი მწვრთნელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნელი სალაძის ხელმძღვანელობით გულმოდგინედ ემზადება საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის. ამ დღეებში საწვრთნელ ბაზაზე ვესტუმრეთ ნელი სალაძეს და გუნდის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ ვესაუბრეთ.

**⊙ ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე გუნდური მეხუთე ადგილი დაიკავეს. როგორ ფიქრობთ, წლეულს გაუძნელდებათ ამ პოზიციის შენარჩუნება?**

— გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ მერვე სპარტაკიადაზე გუნდის ღირსებას იცავდა ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ლიდერი, მსოფლიო ჩემპიონი ირინე გაბაშვილი. მაშინ მან მრავალჭიდში მეხუთე ადგილი დაიკავა, ბურთით ვარჯიშში კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ცხადია, ლიდერის კარგმა გამოსვლამ გუნდის საერთო წარმატებასაც შეუწყო ხელი. მაგრამ დღეს ნაკრებში არა გვყავს ისეთი ტანმოვარჯიშე, რომელიც კონკურენციას გაუწევდა მხატვრული ტანვარჯიშის აღიარებულ ოსტატებს — გალინა ბელოგლაზოვას, დალია კუტკაიტეს, ვენერა ზარიპოვას, ტატიანა დრუჩინინას, მარინა ნიკოლაევას, მარინა ლობაჩს, ოქსანა ბარლეტს, ბოგდანა ტარასოვას, ელენა დევიტიაროვას და სხვებს, რომლებსაც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის დიდი გამოცდილება აქვთ. თანაც, ისიც არ ვიცით, გამოვა თუ არა სპარტაკიადაზე გუნდის ლიდერი ირმა ყიფშიძე. ამჟამად იგი საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავს ჯგუფურ ვარჯიშში და შეძლებს თუ არა პირად პირველობაში ჩაბმას, არავინ იცის. რომც შეძლოს, არა გვგონია განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიოს, რადგან მას იანვრიდან ინდივიდუალური პროგრამით არ უვარჯიშია.

**⊙ მაშ, ვისი იმედი შეიძლება გვქონდეს?**

— ამ ბოლო დროს ჩვენი გოგონების უმრავლესობამ საგრძნობლად აიმაღლა ოსტატობა, უფრო სტაბილურად გამოდიან, გააუმჯობესეს საგნების ფლობის ტექნიკა. ყოველივე ამას უკვალოდ არ ჩაუვლია, — გოგონებმა ბევრ შეჯიბრებაში წარმატებები მოიპოვეს. მათი გვარების ჩამოთვლას არ შევუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამჟამად საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისათვის ემზადებიან თინათინ ნადირაშვილი, ევგენია შორინკინა, ნინო ხუციშვილი, ფიქრია ფანქველაშვლი, იზოლდა მთავრიშვილი, ინგა ჩხაიძე, ნატო ლეშკაშელი, ელისო ბედოშვილი, ხათუნა აფაქიძე, თამარ ქუმსიშვილი, ელენე აბაზაძე, ბელა დავითური, ნუცა მელვინეთუხუცესი, ლალი სანიკიძე, ხათუნა ქურიძე. როგორც იცით, სპარტაკიადაზე სამი სპორტსმენი ინდივიდუალური პროგრამით იასპარეზებს, ექვსი კი ჯგუფურ ვარჯიშში მიიღებს მონაწილეობას. თუ ვის მოუწევს რესპუბლიკის ღირსების დაცვა წლის მთავარ შეჯიბრებაში, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი ტანმოვარჯიშეებს რამდენიმე შეჯიბრებაში მოუწევთ თავიანთი უპირატესობის დამტკიცება. ისინი ჯერ ქალაქის სპარტაკიადაზე გამოვლენ, მერე საბჭოთა კავშირის პირველობაზე, მონაწილეობას მიიღებენ სხვა სახის შეჯიბრებებშიც. გუნდის საბოლოო შემადგენლობა საქართველოს სპარტაკიადის შემდეგ დადგინდება.

**⊙ საქართველოს მხატვრული ტანმოვარჯიშეების, განსაკუთრებით რესპუბლიკის ნაკრების ნორმალური საწვრთნელი ბაზით უზრუნველყოფა ყოველთვის ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. გვაინტერესებს, რა პირობებში ვარჯიშობთ და თქვენთან ერთად კიდევ ვინ მუშაობს ნაკრებთან?**

— მართალია, მხატვრული ტანმოვარჯიშეებისთვის საკუთარი ბაზის გამოყოფა, აღდგენითი ცენტრით, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. ყოველდღე დღეში სამჯერ ვვარჯიშობთ. ჩემთან ერთად გუნდში არიან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გალინა გედევანიშვილი, აკომპანიატორი რომან ჩერნიავსკი, ექიმი თამარ რცხილაძე. გვეხმარება საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი მხატვრულ ტანვარჯიშში სვეტლანა მეყანწიშვილი.

**⊙ ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის გარდა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში კიდევ რა ღონისძიებები გაქვთ დასახული?**

— ცხადია, მარტო ვარჯიშითა და თითო-ოროლა შეჯიბრებაში მონაწილეობით ჩვენი გოგონები გამოცდილებას ვერ შეიძენენ. ამიტომ გადავწყვიტეთ დარჩენილ დროში ამხანაგური შეხვედრებიც ჩავატაროთ, განსაკუთრებით იმ გუნდებთან, რომელთაც რვა საუკეთესოში მოხვედრის შანსი აქვთ.

**⊙ ვის თვლით ახეთ მეტოქეებად?**

— პირველ სამეულში ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, ალბათ, ძირითადად რუსეთის ფედერაციის, მოსკოვის, უზბეკეთისა და ბელორუსიის გუნდებს შორის წარიმართება, თუმცა არც ლენინგრადის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ლიტვის გუნდებია ხელწამოსაკრავი. მათთან შეხვედრებისას ჩვენი გოგონები გამოცდილებასაც შეიძენენ და ოსტატობასაც დახვეწენ. ეს აუცილებელია, რადგან დღეს საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდია კავშირში. ყოველ ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი ვაჩვენოთ სპარტაკიადაზე.

**საუბარი ჩაიწერა ვაჟა დანელიამ.**

### გუნდური ადგილები

**მხატვრული** ტანვარჯიში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში მესამედაა შეტანილი. პირველი სასპარტაკიადო ტურნირი 1979 წელს ჩატარდა. XXII ოლიმპიადის წინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოსკოვის კონგრესზე სპორტის ეს სახეობა XIII ოლიმპიადის პროგრამაშიც ჩართეს.

საქართველოს სპორტსმენთაგან საერთაშორისო ტურნირებსა და ოფიციალურ ჩემპიონატებში სხვებზე უკეთესი შედეგები ლალი დოლიძესა და ირინე გაბაშვილსა აქვთ ნაჩვენები.

1979 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრებმა მესამე გუნდური ადგილი დაიკავა უკრაინის და რუსეთის ფედერაციის ტანმოვარჯიშეთა შემდეგ.

ოთხი წლის შემდეგ, ხალხთა VIII სპარტაკიადაზე საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა გუნდური V ადგილი დაიკავეს.

## ყველა პრიზიორი

**საბჭოთა** კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული ტანმოვარჯიშეებისთვის მართლაც რომ იღბლიანი იყო. გუნდის ლიდერმა ირინე გაბაშვილმა 5 საპრიზო ადგილი დაიკავა, მათ შორის ორი — პირველი. ოთხი წლის შემდეგ ხალხთა VIII სპარტაკიადაში კი მხოლოდ ერთი პრიზიორი გვყავდა.

**1979 წ. VII სპარტაკიადა.** ბურთით ვარჯიში. I ადგილი — ირინე გაბაშვილი — 19,45 ქულა; ლენტით ვარჯიში. I ადგილი — ირინე გაბაშვილი — 19,3 ქულა; გურზებით ვარჯიში. II ადგილი — ირინე გაბაშვილი — 19,45 ქულა (ასეთივე შედეგი ჰქონდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ელენა თომასს, ამიტომ ორთავე სპორტსმენს ვერცხლის მედლები გადაეცათ); ვარჯიში სახტუნებლით. II ადგილი — ირინე გაბაშვილი — 19,4 ქულა. ამას გარდა, გაბაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მრავალჭიდში (47,8 ქულა) ირინე დერიუგინასა და ელენა თომასის შემდეგ.

**1983 წ. VIII სპარტაკიადა.** ბურთით ვარჯიში. II ადგილი — ირინე გაბაშვილი — 19,55 ქულა.

# არა, არ უნახავთ...

**ჩვენი** გაზეთი ერთხელ უკვე შეეხო ამ საკითხს. წლეულს, 10 აპრილს დავსტამბეთ წერილი იმის თაობაზე, რომ თბილისში, ვაჟაფშაველას პროსპექტზე, VI კვარტალში მდებარე ეგრეთ წოდებული „მარაკანას“ სტადიონი, რომელიც მოსახლეობამ საზოგადოებრივი ძალებით მოაწყო, ბოლო ხანებში გადათხრილი და მოუწესრიგებელია. საქმე ის გახლავთ, რომ თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა კარგა ხანია, რაც ორჯონიკიძის რაიონში გადაიტანეს და „მარაკანას“ სტადიონი გამოუყვეს ბაზად. ცხადია, ის, რაც იყო, ვერ დააკმაყოფილებდა სკოლას. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ რამდენიმე წლის წინათ მიიღო დადგენილება ამ საფეხბურთო სკოლის მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცების თაობაზე. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისა და ჩვენი ფეხბურთის სამედო რეზერვის აღზრდისათვის.

სამწუხაროდ, გულგრილობა და წაყრუება ყოველგვარ საზღვრებს გასცდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საქმე იმით დაიწყეს, რომ ძველი სტადიონი გადათხარეს. ამავე დროს, შეუწყნარებლად ჭიანურდება ახლის მშენებლობა. დაპირებები საქმედ ვერ იქცა, ილუზიად დარჩა. ამას მშენებლობისა და განათლების სამინისტროების, თბილისის განათლების სამმართველოს, ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკების მისამართით ვამბობთ. ძნელი სათქმელია, მაგრამ უნდა ითქვას: რატომ არ ჩავიხედოთ ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც თავის დროზე სადირექტივო ორგანოებმა მიიღეს და რატომ არ უნდა მოვთხოვოთ მკაცრად პასუხი ყველას, ვინც საქმეს განუდგა, ვინც გულთან ახლოს არ მიიტანა საფეხბურთო სკოლისა და არა მარტო' სკოლის, თვით მოსახლეობის ინტერესები? დროებით მოსახლეობასაც ხომ წაართვეს სათამაშო ადგილი.

მიზეზების მოშველიება, თუნდაც იგი ობიექტური იყოს, გულგრილობას ვერ გაამართლებს, მით უფრო, როცა საქმე ეხება მოზარდი თაობის აღზრდის ინტერესებს. ვერ გაამართლებს იმიტომ, რომ არ არსებობს სიძნელე, რომლის გადაჭრა დღევანდელ პირობებში შეუძლებელი იყოს. სტადიონზე რომ არაფერი ვთქვათ, უსაშველოდ გაჭიანურდა თვით სკოლის სარემონტო სამუშაოები, ნორჩ ფეხბურთელებს გასახდელები და საშხაპეც არა აქვთ, ბავშვებს არც დანაპირები სასადილო აღირსეს. სპორტული კომპლექსის პროექტი, როგორც გუშინ სკოლაში გვითხრეს, შეთანხმებულიც არ არის ქალაქის არქიტექტორთან. ეს მაშინ, როცა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ შარშან, პირველი სექტემბრისთვის უნდა დამთავრებულიყო. დრო გადის, ხომ უნდა მოვკითხოთ ზემოხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს უქმად დაკარგული დროისთვის, იმისთვის, რომ ფეხბურთში რეზერვების მომზადების პროცესი შენელდა?

ბავშვები? ბავშვებს რა დააკლებს, ახეთ პირობებშიც არ კარგავენ ფეხბურთისადმი ფანატიკურ სიყვარულს, თანატოლებთან შეჯიბრებებში სტადიონზე ამტკიცებენ, რომ ყურადღების ღირსნი არიან. ოღონდ ეგაა, უფროსი ძიები ვერ დაარწმუნეს იმაში, რომ უკეთეს პირობებში უკეთ ითამაშებენ და უკეთ დაოსტატდებიან. თუმცა, რას დაარწმუნებ, უნახავთ კი ამ ძიებს, რა პირობებში მეცადინეობენ და როგორ თამაშობენ ბიჭები, რომლებსაც ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღე ჰქვია?

არა, არ უნახავთ. უნდა ნახონ...



ეს სურათები გუშინ გადავიღეთ. ზემოთ თქვენ ხედავთ ნორჩ ფეხბურთელთა „გასახდელს“. ქვემოთ, მარცხნივ — სკოლის ეზო, სადაც გავლაც კი სახიფათოა.



ახე გამოიყურება ახლა „მარაკანა“





აი, რა დღეშია საშხაპე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

49

**25 მაისს გაიმართა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის კოლექტივებს შორის.**

**საქართველოს გუნდები ამ ტურში სტუმრად თამაშობდნენ. თბილისის დინამოელები ბაქოში შეხვდნენ „ნეფთჩის", ხოლო ქუთაისის ტორპედოელები — ერევანში „არარატს".**

**ბაქოს „ნეფთჩისა" და თბილისის „დინამოს" მატჩი** ტურის ცენტრალური თამაში იყო, ორივე გუნდი ლიდერთა ჯგუფშია — „დინამო" მეორე ადგილზე, ხოლო „ნეფთჩი" — მესამეზე.

ლიდერთა ეს შეხვედრა უაღრესად საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. ორივე გუნდმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღო, თავდამსხმელები და ნახევარმცველები აქტიურად, სწრაფად თამაშობდნენ, რომელიმე მხარეს მკვეთრად გამოკვეთილი უპირატესობა არა ჰქონია, მაგრამ „ნეფთჩის" ყველაზე სახიფათო თავდამსხმელები აჰმედოვი და პონომარიოვი, აგრეთვე, თბილისელები გუცაევი და გაზაევი სისტემატურად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს.

განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ გუცაევის მეტად ეფექტურ, სასარგებლო თამაშს. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იგი მხოლოდ ამ მატჩში დაუბრუნდა თავისი გუნდის საბრძოლო შემადგენლობას და გაზაევთან წყვილში ყველაზე სახიფათო იყო ბაქოელთა დაცვისთვის. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი ბაქოს „ნეფთჩისთან" ვლადიმერ გუცაევისთვის მესამასე იყო საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში, საიუბილეო შეხვედრა მან ღირსეულად ჩაატარა.

მიმდინარეობდა შეხვედრის 27-ე წუთი, როცა ერთ-ერთი გარღვევის დროს გუცაევი უხეშად წააქციეს, მან თვითვე მიაწოდა ბურთი კარის წინ, აქ გაზაევმა ძალზე ზუსტად ითამაშა და თავით გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:0.

საპასუხო გოლის გატანა ბაქოელებმა ათიოდე წუთის შემდეგ შეძლეს აჰმედოვისა და სულეიმანოვის სწრაფი კომბინაციის შემდეგ, ტაიმის ბოლო, 45-ე წუთზე კი დინამოელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს ჯავადოვი, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა პონომარიოვმა — 2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები ბევრს უტევდნენ, კვლავ აგრესიულად თამაშობდნენ გუცაევი და გაზაევი და მეორე გოლიც სწორედ მათი შეთანხმებული ურთიერთმოქმედების შედეგი იყო: გუცაევმა მარჯვენა ფლანგიდან მიაწოდა ბურთი და გაზაევმა კვლავ თავით გაიტანა გოლი. 2:2 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს მეტად საინტერესო თამაში.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „ნეფთჩი" — ქიდკოვი, ალაჰვერდიევი, ბელიალოვი, მირზოევი, პანჩიკი, ფედოროვსკი, სულეიმანოვი, ვახაბზადე, პონომარიოვი, აჰმედოვი, ჯავადოვი; „დინამო" — გაბელია, კეტაშვილი, არზიანი, ჩედია, კუდინოვი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ჩელებაძე), გაზაევი (მიქაბერიძე), გოგრიჭიანი. მსაჯი კ. დორონინი (მოსკოვი).

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 3:0. 2 ბურთი გაიტანა ყორღანიამ, ერთი — ბაკურაძემ.

**ერევნის „არარატისა" და ქუთაისის „ტორპედოს" შეხვედრის** პირველ ნახევარში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, თანაბარი ბრძოლა უმეტესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და სახიფათო მომენტებიც ნაკლებად იქმნებოდა. შესვენების შემდეგ ერევნელმა ფეხბურთელებმა თამაში გააძლიერეს. 57-ე წუთზე პირველი ბურთის გატანა შეძლო ქოჩარიანმა, შემდეგ კი მხითარიანმა ანგარიში 2:0-მდე გაზარდა. უკვე მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, კირაკოსიანმა მესამედ აიღო ტორპედოელთა კარი, ხოლო ბოლო, 90-ე წუთზე ხაგბამ ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა ყორყიკაშვილის გადაცემით — 3:1.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „არარატი" — სუქიასიანი, კირაკოსიანი, სარქისიანი, აშ. ხაჩატრიანი, რაფ. გალუსტიანი, პ. გალსტიანი (კარაპეტიანი), მარქარიანი, რობ. გალუსტიანი, მირზოიანი, პოღოსიანი (ქოჩარიანი), მხითარიანი; „ტორპედო" — ქანთარია, ფრუიძე, პაიკიძე (დოჩია), მალანია, ვასაძე, ბარათაშვილი, კორძალიძე, ყორყიკაშვილი, მეგრელაძე, ხაგბა, შენგელია. მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ-ოლა).

დუბლიორები — 2:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ, ბურთები გაიტანეს ხუნდაძემ და ტყავაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა უდისციპლინობისთვის 5 გაფრთხილება დაიმსახურეს და ეს მაშინ, როცა წინ მეტად საპასუხისმგებლო მატჩებია. დინამოელთაგან ყვითელი ბარათი დაიმსახურეს გოგრიჭიანმა და კეტაშვილმა, ხოლო ტორპედოელთაგან — ფრუიძემ, ყორყიკაშვილმა და პაიკიძემ. ზედმეტია ლაპარაკი ჩემპიონატში შექმნილ დაძაბულობაზე, მსაჯების მიმართ პრეტენზიებზე. ამგვარი დარღვევები, მიღებული გაფრთხილებები საქმეს, ცხადია, არ შველის, შემდგომში კი ჩვენი გუნდები შეიძლება ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, თუკი ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები კვლავ მიიღებენ გაფრთხილებას. ეს კარგად უნდა იცოდეს თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" თითოეულმა ფეხბურთელმა, დარღვევათა გამო თამაშის გაცდენა დიდად დააზარალებს ჩვენს გუნდებს.

• • •

**მოგვყავს** 25 მაისის სხვა შეხვედრათა შედეგები: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:1, „ზენიტი" (ლენინგრადი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:1, „დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:4.

• • •

XII ტურის მატჩებს ჩვენი გუნდები კვლავ სტუმრად გამართავენ. **თბილისის დინამოელები 31 მაისს მოსკოვში შეხვდებიან ადგილობრივ თანაკლუბელებს, ხოლო 1 ივნისს ქუთაისის „ტორპედო" მოსკოვში ეთამაშება „სპარტაკს".**

## გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

### მდგომარეობა 27 მაისისთვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „ზენიტი" (ლენინგრადი) | 11 | 5 | 4 | 2 | 19-11 | 14 (— 8) |
| 2. | „დინამო" (თბილისი) | 11 | 4 | 5 | 2 | 11-10 | 13 (— 9) |
| 3. | „ნეფთჩი" (ბაქო) | 11 | 4 | 4 | 3 | 15-12 | 12 (—10) |
| 4. | „ტორპედო" (მოსკოვი) | 9 | 4 | 3 | 2 | 11-5 | 11 (— 7) |
| 5. | „დინამო" (მოსკოვი) | 10 | 4 | 3 | 3 | 13-12 | 11 (— 9) |
| 6. | „შახტიორი" (დონეცკი) | 11 | 4 | 3 | 4 | 11-11 | 11 (—11) |
| 7. | „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 11 | 4 | 3 | 4 | 12-13 | 11 (—11) |
| 8. | „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 11 | 4 | 3 | 4 | 7-9 | 11 (—11) |
| 9. | „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 10 | 3 | 5 | 2 | 11-12 | 11 (— 9) |
| 10. | „დინამო" (კიევი) | 7 | 3 | 4 | 0 | 12-6 | 10 (— 4) |
| 11. | „ქაირათი" (ალმა-ათა) | 10 | 3 | 4 | 3 | 7-11 | 10 (—10) |
| 12. | „მეტალისტი" (ხარკოვი) | 11 | 2 | 5 | 4 | 8-9 | 9 (—13) |
| 13. | „დინამო" (მინსკი) | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 8 (—12) |
| 14. | „არარატი" (ერევანი) | 11 | 2 | 4 | 5 | 6-10 | 8 (—14) |
| 15. | „სპარტაკი" (მოსკოვი) | 9 | 2 | 3 | 4 | 10-10 | 7 (—11) |
| 16. | „ტორპედო" (ქუთაისი) | 11 | 1 | 5 | 5 | 7-14 | 7 (—15) |

## კალათბურთი

# ორი დამატებითი ტაიმი

**კალათბურთელ** ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა დღეს ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. მაგრამ მოსკოვის დინამოელებიც და მათი თბილისელი თანაკლუბელებიც თავიანთი მეტოქეებისგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მოსკოველებმა ფრუნზეს „დინამოსთან" მატჩის პირველი ტაიმი წააგეს (42:50), მაგრამ შესვენების შემდეგ მაინც საგრძნობლად დაწინაურდნენ. შეხვედრის ანგარიშია 102:85. რაც შეეხება თბილისელთა ორთაბრძოლას ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პარდუბიცეს „რუდა ჰვეზდასთან", რომელსაც მანამდე სამივე მატჩი წაგებული ჰქონდა, იგი უაღრესად დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 4 ქულის სხვაობით მოიგეს — 42:38. თანაბარი ბრძოლა შესვენების შემდეგაც გაგრძელდა. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე თბილისელები 6 ქულით იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ სტუმრებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება — 93:93. დაინიშნა დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი, რომელმაც ასევე ვერ გამოავლინა გამარჯვებული — 100:100. მეორე დამატებითი ტაიმისათვის ჩეხოსლოვაკიელებს აშკარად აღარ ეყოთ ძალა — თბილისელებმა მეოთხე მოგება ჩაიწერეს აქტივში — 112:104. ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო ნიკოლოზ დერიუგინი, რომელმაც თავის გუნდს 41 ქულა შესძინა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დამარცხდა კრაკოვის (პოლონეთი) „ვისლასთან" — 56:80 (27:35).

**გუშინ გაიმართა ბოლო ტურის შეხვედრები: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები — „დინამო" (ფრუნზე) — 50:64 (28:28), „ვისლა" — „რუდა ჰვეზდა" 78:79 (35:43), „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 102:119 (56:62)**

## ინფორმაცია

**ტოკიო.** საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში 15 წლის მინსკელმა სპორტსმენმა მარინა ლობაჩმა მოიგო. მრავალჭიდის ჯამში მან და ბულგარელმა ბიანკა პანოვამ ერთნაირი შედეგი (39,550 ქულა) აჩვენეს.

**შენიანი (ჩინეთი).** ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი კუბის ნაკრებმა დაიკავა. ფინალში მან მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჩინეთის გუნდი დაამარცხა — 3:0.

**როვნო.** მოტოციკლისტთა საერთაშორისო ტურნირში პირველი გუნდური ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა (იგორ მარკო და ფეოდორ ზახაროვი) დაისაკუთრეს. პირად ჩათვლაში გამარჯვება ზახაროვს დარჩა.

**მოსკოვი.** საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. ხარლამპიევის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამბისტთა საერთაშორისო ტურნირში თითქმის ყველა პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. სტუმართაგან ერთადერთი გამარჯვება მონგოლეთის გუნდის წევრმა ჟადამბინ სანჟასურენმა მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო 68 კგ წონით კატეგორიაში.

**სოჭი.** წლევანდელი სეზონის პირველი საკავშირო რეკორდი მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოველმა ალექსანდრე მარკინმა დაამყარა. 110 მეტრზე თარჯრბენში მან 13,39 წამი აჩვენა.

**მოსკოვი.** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი წყალქვეშა ცურვაში. ესტაფეტაში 4×100 მ (ლასტებით) საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა (სერგეი ტალალუნკო, ოლეგ ანანიევი, ოლეგ სტრელკოვი, გენადი სისოევი) მსოფლიო რეკორდი (2.35,852) დაამყარეს.

### სსრ კავშირის თასზე

# ბათუმის „დინამო" მეთექვსმეტედფინალში

**24 და 25 მაისს შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის მატჩები.**

**24 მაისს ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ადგილობრივმა „დინამომ" ელისტის „ურალანს" უმასპინძლა.**

**„დინამო": მამინაშვილი, კაკაბაძე, ანდღულაძე, დურდიაძე, გოგიტიძე, ზედანია, კიკლიაშვილი, ხთუაშვილი, შელია, გორგილაძე, თვალაბეიშვილი.**

**„ურალანი": ცებიკოვი, სკრილნიკოვი (ბოგდანოვი), ნიკიტინი, ბობრიჩევი, გორელოვი, ტკაჩენკო, კლიმოვი, ედნიევი, მოროზი, იაკუტი, ზოლოტოვსკი.**

**მსაჯი ვ. კოპენევი (ტაშკენტი).**

კოკისპირულმა წვიმამ საგრძნობლად გაართულა საქმე. წყლით გაჟღენთილ მინდორზე თამაში ძალიან ჭირდა. მატჩის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ სტუმრებმა ანგარიში გახსნეს — მოროზმა 20 მეტრიდან გაიტანა ბურთი. 31-ე წუთზე კარგად ითამაშა ზედანიამ, ზუსტად მიაწოდა გორგილაძეს, ამ უკანასკნელის დარტყმამ კი მიზანს მიაღწია — 1:1.

შესვენების შემდეგ ბათუმელები განაგრძობდნენ იერიშს და საბოლოოდ საწადელსაც მიაღწიეს. 53-ე წუთზე გორგილაძემ მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას დაასწრო თვალაბეიშვილმა და თავური დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 2:1.

მეთექვსმეტედფინალში ბათუმელები ხარკოვის „მეტალისტს" შეხვდებიან.

**ო. მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.)**

• • •

სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი" (აბოვიანი )— „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „დნეპრი" (მოგილიოვი) 0:2, ცსკა — „კუზბასი" (კემეროვო) 2:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 2:1, „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:5 (დამატებითი პენალტებით, ძირითადი დრო — 1:1), „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 2:0, „დაუგავა" (რიგა) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 5:0, „ტრაქტორი" (პავლოდარი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:1, „გეოლოგი" (ტიუმენი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:3 (დამატებით დროში), „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „პამირი" (დუშანბე) 4:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 2:1, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „დინამო" (სამარყანდი) 2:0, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „ზორკი" (კრასნოგორსკი) 1:0 (დამატებით დროში), „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ხიმიკი" (გროდნო) 2:3.

MEXICO 86

# ვ. ლობანოვსკი მსაჯობა ჟურნალისტებს

**მეხიკო, 25 მაისი.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ყოველ დღე ინტენსიურად ვარჯიშობენ და როცა საღამოობით 35-გრადუსიანი სიცხე მოიკლებს, აუზისკენ მიემართებიან. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ საუკეთესო ფორმაში არიან საფრანგეთისა და უნგრეთის გუნდები, განსაკუთრებით კარგად თამაშობენ მათი წამყვანი ფეხბურთელები, კერძოდ, ფრანგი პლატინი. საბჭოთა ნაკრების განკარგულებაშია საფრანგეთისა და უნგრეთის გუნდების მატჩების ვიდეოჩანაწერები, რომლებიც მას დიდად ეხმარება მეტოქეთა შესწავლაში. ვ. ლობანოვსკის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია საწვრთნელი მატჩი მექსიკის „მორელიასთან", რომელიც 28 მაისს უნდა გაიმართოს.

ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ უკვე განსაზღვრული აქვს გუნდის ძირითადი შემადგენლობა, თუმცა, ვ. ბესონოვი და ა. ჩივაძე ჯერ კიდევ უჩივიან ტრავმებს.

• • •

**ფეხბურთში** მსოფლიოს XIII ჩემპიონატის ფინალისტები ბოლო საწვრთნელ მატჩებს ატარებენ. ბრაზილიის ნაკრებმა მეხიკოში ანგარიშით 2:0 მოუგო ადგილობრივ საკლუბო გუნდს „პუმასს", დანიელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს კოლუმბიის ქ. კალდასის „კრისტალი" — 5:2 (პირველ ტაიმს ისინი აგებდნენ — 1:2), პარაგვაელებმა კი კოლუმბიის ქ. პერეირას „დეპორტიფოსთან" მარცხი განიცადეს — 3:4 (2:3).

### საქართველოს პირველობა

**21, 24 და 25 მაისს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.**

**აღმოსავლეთი ზონა**

„სინათლე" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:0, „არმაზი" (მცხეთა) — „ივერია" (ხაშური) 3:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „კახეთი" (თელავი) 1:2, „ქართლი" (გორის რაიონი) — სპი-„შევარდენი" (თბილისი) 0:2, ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:2, „იმედი" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1.

**დასავლეთი ზონა**

„დინამო" (ზუგდიდი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 7:1, „დინამო" (გაგრა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0, „სქური" (წალენჯიხა) — „სულორი" (ვანი) 1:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „შადრევანი" (წყალტუბო) 4:0, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:0.

### II ლიგა

**28 მაისს** გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IX ტურის მატჩები: „ოლიმპია" (აშტარაკი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „დინამო" (სოხუმი) 1:0, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:0, „გიანჯლიკი" (ბაქო) — „დილა" (გორი) 2:2, „არაზი" (ნახიჩევანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:2; „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:1.

ქალთა მსოფლიო პირველობა

# 1 სექტემბერს, სოფიაში...

**კარაკასში** (ვენესუელა) გამართულმა ფიდე-ს ალმასკომის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მსოფლიო პირველობის მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და ელენა ახმილოვსკაიას შორის მოეწყოს ორ ქვეყანაში — საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთში.

**მატჩი დაიწყება 1986 წლის 1 სექტემბერს ქალაქ სოფიაში (ბულგარეთი), 8 პარტიის შემდეგ შეჯიბრება გაგრძელდება კურორტ ბორჯომში (ხსრ კავშირი).**

შეგახსენებთ, რომ მატჩში 16 პარტია უნდა გათამაშდეს.

# ხუთი ტური ადრე

— **როგორც** ჩანს ტურნირის დასაწყისში ცუდ სპორტულ ფორმაში ვიყავი, თამაში არ ამეწყო, — თქვა ქეთევან არახამიამ. 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის 8 ტურის შემდეგ მას მხოლოდ 4,5 ქულა აქვს — ბოლოს ინდოელ რედის მოუგო. ჩვენი თანამემამულე ალბათ ვეღარ შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. მას რამდენიმე მოჭადრაკე უსწრებს.

კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს უნგრელი ილდიკო მადლი— 6 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება აზერბაიჯანელი აინურ სოფიევა. 5,5-5,5 ქულა აქვთ ფრუნზელ სვეტლანა მატვეევას, მოსკოველ სვეტლანა პრუდნიკოვასა და ვილნიუსელ კამილე ბაგინსკაიტეს.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტური დარჩა.

# პორიზონტზეა ფინიში

**სამტრედია, 26 მაისი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატის მონაწილეებმა კიდევ სამი (X, XI, XII) ტურის შეხვედრები გამართეს.**

X ტურში თავი ისახელა ტურნირის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ სოფიკო ნიკოლაძემ, რომელმაც ერთ-ერთ ლიდერს ოსტატ ნინო მელაშვილს მოუგო. ამ დღეს კიდევ ერთი ლიდერი დამარცხდა: ტერელაძე — კახიანთან.

თანდაშვილმა სძლია ფეჰლევანოვას, ხუგაშვილმა — წერეთელს, მესხმა — კურცხალიას. ყაიმით დამთავრდა ქ. მელაშვილ — ქასოშვილის, კახაბრიშვილ — ჩხაიძისა და ფანიაშვილ — მახარაძის პარტიები. ალიხანაშვილ — ლაგვილავას პარტია გადაიდო.

XI ტურში დები მელაშვილები ყაიმს დასჯერდნენ: ქეთევანი დაუზავდა კახაბრიშვილს, ნინო — კურცხალიას. ლაგვილავამ მოუგო ხუგაშვილს, კახიანმა — ჩხაიძეს, ქასოშვილმა — ნიკოლაძეს, წერეთელმა — მესხს. ტერელაძემ — ფანიაშვილს და ალიხანაშვილმა — ფეჰლევანოვას. დაზავდნენ მახარაძე — თანდაშვილი.

XII ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ნინო მელაშვილისა და ქასოშვილის შეხვედრამ, რომელიც ნინომ მოიგო. ქ. მელაშვილი დაუზავდა კახიანს, მესხი — ლაგვილავას, თანდაშვილი — ტერელაძეს. კახაბრიშვილმა დაამარცხა ნიკოლაძე, ჩხაიძემ — ფანიაშვილი, ალიხანაშვილმა — მახარაძე, ხუგაშვილმა — ფეჰლევანოვა და წერეთელმა — კურცხალია.

12 ტურის შემდეგ ქეთევან მელაშვილს 9,5 ქულა აქვს, ნინო მელაშვილს — 8,5, სოფიკო ტერელაძეს — 8, ციალა ქასოშვილს, მზია წერეთელს — 7,5-7,5, ლაგვილავას 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ციცინო კახაბრიშვილს, ქეთევან კახიანს — 7-7.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯი.**

MEXICO 86

წარმოგიდგენთ ფინალისტებს

# მექსიკა-86

ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 4 დღე

# ოპტიმისტი აუტსაიდერი

„**პარაგვაი** მეოთხედ იქნება წარმოდგენილი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. დღევანდელი გუნდი უძლიერესია იმათგან, რომელთაც დასკვნით ეტაპებზე უთამაშიათ, მაგრამ მე რომ განვაცხადო, მსოფლიოს თასს მოვიგებთ-მეთქი, სასაცილოდ ამიგდებენ..." ეს სიტყვები ეკუთვნის პარაგვაის ნაკრების მწვრთნელს კაეტანო რეს, რომელიც თავად მონაწილეობდა 1958 წელს შვეციაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში. ახლა იგი მექსიკის ტურნირისათვის, ამზადებს თავისი ქვეყნის ნაკრებს, ასე რომ, მან ალბათ ყველაზე უკეთ იცის რომელ გუნდს უნდა მიენიჭოს უპირატესობა — ოცდარვა წლის წინანდელს თუ ახლანდელს. მაგრამ, როგორც მისი სიტყვებიდან გამომდინარეობს, იგი მაინც რეალურად აფასებს თავისი გუნდის შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი პესიმისტურად არ არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

მართალია, პარაგვაელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს დამატებით ტურნირში, რომელსაც უნდა დაესახელებინა სამხრეთ ამერიკის მეოთხე წარმომადგენელი მსოფლიოს XIII ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, მაგრამ მიმომხილველთა პროგნოზებში ისინი აუტსაიდერთა გვერდით აღმოჩნდნენ.

...პარაგვაის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე იღბლიანად ითვლება 1979 წელი, როცა ეროვნულმა გუნდმა მეორედ მოიპოვა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის სახელი (პირველად — 1953 წელს), უძლიერესმა კლუბმა, ასუნსიონის „ოლიმპიამ" კი გაიმარჯვა „კოპა ლიბერტადორესისთვის" (განმათავისუფლებელთა თასი", რომელიც სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირში გამარჯვებულს გადაეცემა) ბრძოლაში. იმ პერიოდში ნაკრებს ხელმძღვანელობდა რანულფო მირანდი, რომელმაც ამ პოსტზე მახინა გომესი შეცვალა. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ მირანდი გადადგა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან. მისი ადგილი დაიკავა „ოლიმპიას" მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ურუგვაელმა ფეხბურთელმა ლუის კუბილიამ, ხოლო ამ უკანასკნელის შემდეგ ნაკრების ხელმძღვანელად გუნდის დღევანდელი მწვრთნელი დაინიშნა.

მსოფლიოს XIII ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პარაგვაელთა მეტოქეები იყვნენ ბრაზილიელები და ბოლივიელები. სტუმრად პარაგვაელებმა ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დაამთავრეს — 1:1, შინ კი ბრაზილიელებთან დამარცხდნენ (0:2). სამაგიეროდ მათ ბოლივიელებს აჯობეს (3:0) და დამატებით ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს, სადაც ჯერ კოლუმბიელებს სძლიეს (3:0, 1:2), ხოლო შემდეგ — ჩილელებს (3:0, 2:2).

ფინალური ტურნირის პირველ ეტაპზე პარაგვაელები მეორე ჯგუფში იასპარეზებენ. აქ მათთან ერთად გამოვლენ ტურნირის მასპინძლები — მექსიკელები, აგრეთვე ბელგიელები და ერაყელები. საერთო აზრით, ეს ჯგუფი ყველა დანარჩენზე სუსტია. ამ აზრს იზიარებენ პარაგვაელებიც და ამასთანავე იმედოვნებენ, რომ ეს ფაქტი მათ მეორე ეტაპზე გასვლის საშუალებას მისცემს. ყოველ შემთხვევაში, თვით ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილი. ამას მოწმობს ერთ-ერთი მათგანის, მცველ როხელიო დელგადოს სიტყვებიც: „ჩვენ მეორე ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს! ვფიქრობ, ჩვენი ნაკრები მეორე ჯგუფის სხვა გუნდებზე სუსტი არ არის და ნებისმიერი მათგანის დამარცხება შეუძლია!".

პარაგვაის რესპუბლიკა

**სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში.**
**ტერიტორია — 407 ათასი კვ. კმ.**
**მოსახლეობა — 3,9 მილიონი ადამიანი (1984).**
**დედაქალაქი — ასუნსიონი.**
**პარაგვაის ფეხბურთის ფედერაცია (ლიგა „პარაგვაია დე ფუტბოლი") დაარსდა 1906 წელს.**
**ფიფა-ს წევრი გახდა 1921 წელს.**
**კონმებოლ-ის წევრი გახდა 1921 წელს.**
**უდიდესი სტადიონები: ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სტადიონი (45 000), „მანუელ ფერეირა" (40 000), „სერრო პორტენიო" (30 000).**
**ეროვნულმა ნაკრებმა პირველი შეხვედრა გამართა 1919 წელს არგენტინელებთან და დამარცხდა ანგარიშით 1:5.**
**1953 და 1979 წლებში იყო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი.**

**პარაგვაის ნაკრების შედეგები ცალკეულ ჩემპიონატებში**

| წელი | ქვეყანა | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. 1930 | ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 |
| 2. 1950 | ბრაზილია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 |
| 3. 1958 | შვეცია | 3 | 1 | 1 | 1 | 9-12 |
| სულ | | 7 | 2 | 2 | 3 | 12-19 |

**პარაგვაის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში**

| 1954-1985 | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| შინ | 20 | 11 | 4 | 5 | 35-12 |
| სტუმრად | 20 | 6 | 4 | 10 | 21-31 |
| სულ | 40 | 17 | 8 | 15 | 56-43 |

**პარაგვაის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში**

| № | თარიღი | ეტაპი | ქალაქი | მეტოქე | ანგარიში | პარაგვაელთა გოლები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 13.7.1930 | ჯგ | მონტევიდეო | აშშ | 0:3 | |
| 2. | 20.7. " | " | მონტევიდეო | ბელგია | 1:0 | პენია |
| 3. | 29.6.1950 | ჯგ | კურიტიბა | შვეცია | 2:2 | ა. ლოპესი, ფ. ლოპესი |
| 4. | 2.7. " | " | სან-პაულუ | იტალია | 0:2 | |
| 5. | 8.6.1958 | ჯგ | ნორჩიოპინგი | საფრანგეთი | 3:7 | ამარილია (2), რომერო |
| 6. | 11.6. " | " | ნორჩიოპინგი | შოტლანდია | 3:2 | აგერო, პაროდი, რე |
| 7. | 15.6. " | " | ეს კილსტუნა | იუგოსლავია | 3:3 | პაროდი (2), აგერო |

**იტალიის** ფეხბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ენცო ბეარზოტს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მოსვენება არა აქვს კორესპონდენტებისგან, ეს გასაგებიცაა: იტალიელები ჯერჯერობით კვლავაც მსოფლიო ჩემპიონები არიან, მათი ხელმძღვანელის მოსაზრებანი კი ყველას აინტერესებს.

ე. ბეარზოტს მიაჩნია, რომ მექსიკის ჩემპიონატის მატჩებში უმთავრესი დატვირთვა მეკარეებს დააწვება მხრებზე. საქმე ისაა, რომ სიმაღლის მომატებასთან დაკავშირებით საგრძნობლად იცვლება ბურთის ქროლვის სისწრაფეც, მექსიკის მაღალმთიანეთის პირობებში 30 მეტრიდან დარტყმული ბურთიც კი ისეთი ძალისაა, რომ დიდ სიძნელეებს შეუქმნის მეკარეებს. ცხადია, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში განსაკუთრებული ფასი დაედება იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც ძლიერი დარტყმა აქვთ.

გარდა ამისა, ე. ბეარზოტის აზრით მექსიკაში გუნდები უმეტესად მოკლე გადაცემებით ითამაშებენ, ვინაიდან გრძელი გადაცემებისას ბურთის სისწრაფე იქ მნიშვნელოვნად შეიცვლება. ფეხბურთელებს ახალ პირობებში გაუძნელდებათ შესაბამისი კონტროლი, საყოველთაოდ მიღებული გრძელი პასები დაკარგავს სიზუსტეს, გარდა ამისა, შორი გადაცემებით თამაში ენერგიის დიდ ხარჯვასთანაც არის დაკავშირებული. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ბევრი ფეხბურთელი, რომელიც პრესინგს მიმართავს,




ეტყობა, იძულებული გახდება ხელი აიღოს ასეთ თამაშზე.

იტალიელთა მწვრთნელი ფიქრობს, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში დიდ როლს ითამაშებს გუნდების ტაქტიკური მომზადება, და ფეხბურთელთა კომბინაციური აზროვნება.

* * *

**შოტლანდიის** ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა გამოაცხადა თავისი გუნდის 22-კაციანი შემადგენლობა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ადგილობრივ საფეხბურთო წრეებში სენსაცია გამოიწვია ცნობამ, რომ ფერგიუსონმა ნაკრებში არ მიიწვია მისი ერთ-ერთი ვეტერანი, ესპანეთის „ბარსელონის" ცენტრალური თავდამსხმელი სტივ არჩიბალდი. ნაკრებს მიღმა დარჩა კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი, ინგლისის „ლივერპულის" კაპიტანი ალან ჰანსენი. ნაკრების ყველაზე ხანდაზმული წევრია იმავე „ლივერპულის" მოთამაშე-მწვრთნელი, 35 წლის კენი დალგლიში, რომლისთვისაც მომავალი ასპარეზობა მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატი იქნება. დალგლიშს შოტლანდიის ნაკრების მაისურით 100 მატჩი აქვს ჩატარებული. გთავაზობთ გუნდის სრულ შემადგენლობას:

მეკარეები — ლიტონი, რაფი, გორემი; მცველები — გაფი, ნიკოლი, მალპასი, მაკლიში, მილერი, ნეირი, ალბისტონი; ნახევარმცველები — სუნესი, სთრაქანი, მაკსტეი, ეიტკენი, ბეტი, ბენონი; თავდამსხმელები — დალგლიში, მაკავენი, ნიკოლასი, შარპი, სტაროკი, კუპერი.

• • •

**ამ** დღეებში გაიმართა ფინალის მონაწილე გუნდების საწვრთნელი შეხვედრები. ინგლისის ნაკრებმა 1:0 დაამარცხა კანადის ნაკრები, უნგრელმა ფეხბურთელებმა მექსიკის ქალაქ ლეონში მოუგეს ადგილობრივ გუნდს „ტეპატიტლანს" — 4:1, სამხრეთ კორეის ნაკრებმა დაამარცხა „ნეცა" — 5:2, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა — „ატლეტიკო მორელია" 2:1, ხოლო არგენტინელმა ფეხბურთელებმა — „რენატო კასარინი" — 6:0.

სპორტი

# პრიზიორთა შორის

**სსრ კავშირის თასი ველოსპორტში**

**ტულა.** ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა უძველესმა ველოტრეკმა საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას უმასპინძლა. საპატიო პრიზებისათვის ამჯერად არა მარტო სპრინტერები იბრძოდნენ. საკავშირო თასი გათამაშდა გიტებშიც, გუნდურ და ჯგუფურ რბოლებშიც.

შეჯიბრება ტრადიციულად 200-მეტრიან დისტანციაზე ასპარეზობით დაიწყო. ეს დისციპლინა, ფაქტიურად, სპრინტის უვერტიურას წარმოადგენს, ვინაიდან ის სპორტსმენები, რომლებიც აქ გამოიჩენენ თავს, როგორც წესი, სპრინტერთა ასპარეზობის მთავარი ფავორიტები ხდებიან.

ვაჟთა 200-მეტრიან გიტში (სვლით) პირველი სამი ადგილი ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: ნ. კოვში (მოსკოვი) — 10,05, მ. სვიატცევი (ტულა) — 11,075 და ო. მჭედლიშვილი (საქართველო) — 11,121.

მერე სპრინტერთა შეჯიბრება გაიმართა, მაგრამ ამჯერად ველოსიპედისტებს სამი წრის ნაცვლად წრენახევარი უნდა გაევლოთ. ამავე დროს ყოველ სერიაში 4-4 მონაწილე გამოდიოდა. ამ რთულ პირობებში მაღალი სისწრაფე და კარგი ტაქტიკური მომზადება გამოამჟღავნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა 20 წლის თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა. მან ყველა სერია მოიგო, ფინალშიც ყველას აჯობა და საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა.

მეორე ადგილი წილად ხვდა რ. პრუგლოვს, მესამე მ. სვიატცევს (ორივე — ტულა).

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჯგუფური რბოლა 60 წრეზე ხუთი საშუალედო ფინიშით. მჭედლიშვილმა ამ სახეობაშიც სცადა ბედი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე ადგილი დაიკავა (12 ქულა). თასი კი მოსკოველ კ. ხრაბცოვს ერგო.

როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი სამ სხვადასხვა სახეობაში გამოვიდა და სამივეგან პრიზიორთა შორის მოხვდა. თქმა არ უნდა, მჭედლიშვილი დღესდღეობით ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპრინტერია.

ქალთა შორის 200 მ. გიტში ნ. კრუშელნიცკაიამ (უკრაინა) იმარჯვა. სპრინტში უძლიერესი მოსკოველი ტ. ფილიმონოვა იყო. ჯგუფურ რბოლაში კი ყველას ვ. მიხეევამ (მოსკოვი) აჯობა.

**ელა-ინფორმაცია**

**სოფია. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში სიმაღლეზე ხტომა ქალთა შორის სტეფკა კოსტადინოვამ მოიგო. მეორე ცდაზე მან 207 სანტიმეტრი დაძლია. ეს შედეგი მეორე ბულგარელი მძლეოსნის ლუდმილა ანდონოვას მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. ახალგაზრდა საბჭოთა მძლეოსანი სვეტლანა ისაევა 197 სანტიმეტრზე გადახტა.**

**ეკრანზე და ეთერში**

**ცენტრალური ტელევიზია.**
**27 მაისი.** დილის ტანვარჯიში— **9.00 (2)**; სპორტული კვირეული — **9.40 (1)**; საჭადრაკო სკოლა — **12.05 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში — **20.30 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია.**
**27 მაისი.** საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა) — **18.00**; სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში — **20.30**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:**
**66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05676